

ტიპობრივი ტესტები

სტომატოლოგიის ფაკულტეტისთვის

პათოფიზიოლოგია 2

//// ეოზინოფილია ვითარდება

// ალერგიის დროს

// გლუკოკორტიკოიდების სიჭარბისას

// პერნიციოზული ანემიის დროს

// ლიმფადენომის დროს

//// ჰემოლიზური ანემიის გამო შეიძლება განვითარდეს

/// ამილოიდოზი

/// ორგანოების ჰიპერტროფია

// სისხლძარღვების თრომბოზი

/// პოლიციტემია

//// რა მონაწილეობს დიასტოლური არტერიული წნევის დაცემაში აორტის სარქველების უკმარისობის დროს

/// სისხლის ნაკადისადმი პერიფერული წინააღმდეგობის მომატება

/// მარცხენა პარკუჭის სისტოლის შესუსტება

// სისხლის რეგურგიტაცია აორტიდან მარცხენა პარკუჭში

/// მარცხენა პარკუჭიდან აორტაში სისხლის გადასროლის გაძნელება

//// კორონარული სისხლის ნაკადის სიდიდე უშუალოდ დამოკიდებულია

/// სისხლის წნევაზე ფილტვის არტერიაში

// სისხლის წნევაზე აორტაში

/// ბრეინბრიჯის რეფლექსზე

/// სისხლის ნაკადის სიჩქარეზე დიდ წრეში

//// ალვეოლური ვენტილაციის დარღვევას იწვევს

// ზურგის ტვინის მოტონეირონების ფუნქციის დარღვევა

/// ზურგის ტვინის მგრძნობიარე ნეირონების ფუნქციის დარღვევა

/// ექსტრასისტოლური არითმია

/// მიტრალური სტენოზი

//// სასუნთქი კუნთებისთვის ნერვული იმპულსების გადაცემა ირღვევა

/// ფილტვების ანთების დროს

// პოლიომიელიტის დროს

/// მიოზიტის დროს

/// პლევრიტის დროს

//// პერიოდულ სუნთქვას იწვევს

/// ალფა-ადრენორეცეპტორების გაღიზიანება

// ნარკოტიკული ნივთიერებებით მოწამვლა

/// სუნთქვის ცენტრის აგზნება

/// სუნთქვის ცენტრის აგზნებადობის მომატება CO₂-ის მიმართ

//// ჰიპერსალივაცია ვითარდება

// ბულბარული დამბლის დროს

/// ცხელების დროს

/// ექსიკოზის დროს

/// სიმპატომიმეტიკებით მოწამვლისას

//// როდის შეიძლება ჰქონდეს ჰიპერსალივაციას დაცვითი მნიშვნელობა

/// ბულბარული დამბლის დროს

// ინტოქსიკაციის დროს

/// ექსიკოზის დროს
/// გულისრევის დროს

//// ჰელიკობაქტერიების ადჰეზია კუჭის ლორწოვანის უჯრედებზე იწვევს
// ლორწოვანის სისხლმომარაგების შემცირებას
/// ლორწოვანის სისხლძარღვების დილატაციას
/// კუჭის წვენის აგრესიულობის შესუსტებას
/// აქილიას

//// კუჭის წყლულოვანი დაავადების პათოგენეზში შეიძლება მონაწილეობდეს
// ჰიპოთალამურ-ჰიპოფიზურ-თირკმელზედა ჯირკვლის სტრესული აქტივაცია
/// გლუკოკორტიკოიდების დეფიციტი
/// გასტრინის დეფიციტი
/// პანკრეასის წვენის გამოყოფის მომატება

1.